



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

კომისიის შეხვედრა

თარიღი: 27 აგვისტო, 2020 წელი

დრო: 15:00 -16:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
2. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
3. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
4. თამარ გაბისონია - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

27 აგვისტოს გაიმართა შემფასებელი კომისიის შეხვედრა, რომელმაც განიხილა პროგრამული მხარდაჭერის კონკურსის მეორე ეტაპის ფარგლებში სემოსული საპროექტო განაცხადები.

სამდივნომ, განსაზღვრულ ვადაში, მიიღო მოთხოვნილი დოკუმენტები საპროექტო განაცხადების ძირითადი აპლიკანტებისგან, რაც გაზიარებულ იქნა შემფასებელი კომისიის წევრებთან.

კომისიამ განიხილა ყველა საპროექტო განაცხადი და წინასწარ მომზადებული შეფასების ცხრილის შესაბამისად დაიწყო მათი შეფასების პროცესი. კომისიამ შეხვედრაზე იმსჯელა იმ საკითხზე, თუ რამდენად შეესაბამება აღნიშნული პროექტები იმ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს, რომელიც განსაზღვრულია პროგრამული მხარდაჭერის პროცესისთვის.

კომისიის წევრების მიერ, დადებითად იქნა შეფასებული მეორე ეტაპის ფარგლებში მიღებული საპროექტო განაცხადები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაზუსტების მიზნით, ძირითად აპლიკანტებს გადაეგზავნებათ რეკომენდაციები.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურამე